

მურაან სუნიუშილი

**ველიოაქტივთა საქცეო სისტემის სარეკონსტრუქციო ცალკის  
ზოგიერთი ბრავატიკული და სემანტიკური  
თავისებურების შესახებ**

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია თვალსაზრისი გარდაუვალ ზმნებში საქცეო სისტემის ფუნქციონირების „სხვაგვარობის“ (შანიძე 1973, 339), „თავისებური ვითარების“ (ჩიქობავა 1950, 058) შესახებ.

სხვაგვარობა-თავისებურებაში ის იგულისხმება, რომ თუ საობიექტო ქცევა კუთვნილება-დანიშნულების მიმართებას გარდამავალ ზმნებში ობიექტებს (პირდაპირსა და ირიბს) შორის აფიქსირებს, გარდაუვალ ზმნებში ასეთივე მიმართება უკვე სუბიექტსა და ობიექტს (ირიბ ობიექტს) შორისაა რეალიზებული და, ამდენად, ტერმინი საობიექტო არადეკვატური ჩანს.

ამ სხვაობით არ იჩრდილება ქცევის, ჩვენს შემთხვევაში, საობიექტო ქცევის კატეგორიის ზოგადი, კუთვნილება-დანიშნულების, მნიშვნელობა — ირიბ ობიექტს განეკუთვნება პირდაპირი ობიექტი გარდამავალ ზმნებში და სუბიექტი — გარდაუვალ ზმნებში, ე.ი. გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში საირიბობიექტო ქცევა გვაქვს.

სხვა თვალსაზრისით: გარდაუვალ ზმნებში საობიექტო ხმოვანი პრეფიქსების დანიშნულება ირიბი ობიექტის გამოხატვაა და არა კუთვნილება-დანიშნულებისა (ონიანი 2003, 127).

გარდაუვალ ზმნებში ქცევის კატეგორიის დაშვების საწინააღმდეგო არგუმენტები — ა) სხვაობა გამოხატულების პლანში (გარდამავალ ზმნებში სამწვერიანი ოპოზიცია — გარდაუვალებში ორწვერიანი) და, აქედან გამომდინარე, ბ) სხვაობა შინაარსის პლანში, გ) ერთპირიანი, ნეიტრალური ქცევის გამოხატველი წვერის მორფოლოგიურ საოპოზიციო ცალად მიჩნევის არადეკვატურობა (ერთპირიან ზმნაში კუთვნილებითი მიმართება ვერ განხორციელდება), (ონიანი 2003, 126-127) — ვფიქრობ, ობიექტურია, მაგრამ ახსნას ექვემდებარება, კერძოდ: სხვაობა გამოხატულებისა და შინაარსის პლანისა გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების საქცეო სისტემებში გაპირობებულია ერგატიულობის ზოგადი წესის რეალიზაციით საქცეო სისტემაში: გარდამავალ ზმნებში გამოვლენილი ხმოვანი პრეფიქსები პირდაპირ ობიექტს უკავშირდება და საობიექტო ქცევაში პირდაპირი ობიექტის ირიბი ობიექტისადმი განკუთვნებას გამოხატავს; გარდაუვალ ზმნებში, კონვერსიის მექანიზმის შესაბამისად, ეს ხმოვანი პრეფიქსები სუბიექტის ირიბი ობიექტისადმი ანალოგიურ მიმარ-

თებას აფიქსირებენ (სუხიშვილი 2000, 203); გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქცევა სიტყვაწარმოებითი კატეგორიაა, „ეს ნიშნავს, რომ ნეიტრალურ (ქცევის თვალსაზრისით) ზმნებს, შეიძლება ამოუდგეს გვერდით საობიექტო ქცევის ზმნები: დგას — უდგას, დგამს — უდგამს, წადგება — წაუდგება და სხვ. (ფოჩხუა 1974, 109). ამის გარეშე: კუთვნილება-დანიშნულების სემანტიკა გარდაუვალ ზმნათა საობიექტო ცალკების დიდ ნაწილში საკმაოდ თვალსაჩინოა და ამ სემანტიკას მათი სალექსიკონო განმარტების სემანტიკური პერიფრაზირებაც წარმოაჩენს: უ-ბერდ-ებ-ა — ბერდება მისი, ბებერი, მოხუცი უხდება, უ-ბნელდ-ებ-ა — ბნელდება მისი ან მისთვის..., უ-ბრწყინ-ავ-ს — ბრწყინავს მისი, უელვარებს, უბრწყვილებს, უ-გავ-ს — ჰგავს მისი, ემსგავსება, უ-ელ-ავ-ს — 1. ელავს მისი, უბრწყინავს... 2. სწრაფად უვლის (აზრი, ფიქრი, წარმოდგენა...), უ-თრთ-ის — თრთის მისი და ა.შ. (ჯორბენაძე 1983, 163-164). კუთვნილებასთან ერთად, როგორც ვხედავთ, ეს ფორმები არაკუთვნილებით სემანტიკასაც გამოხატავენ: უელავს „ელავს მისი“ და „ხშირად უვლის (აზრი, ფიქრი, წარმოდგენა...)“.

გარდაუვალ ზმნათა ნაწილი საობიექტო ქცევის ფორმაში არ გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულების მნიშვნელობას (უ-ალერს-ებ-ს — ალერსით ეპყრობა, ეალერსება, ეფერება, უ-ბიძგ-ებ-ს — ხელს, მხარს წაჰკრავს... ბიძგს აძლევს, აქეზებს, ხელს უწყობს; უ-ლაწუნ-ებ-ს — ლაწუნით ურტყამს, უ-მკლავდ-ებ-ა — წინააღმდეგობას უწევს, სათანადოდ უხვდება, იგერიებს (მტერს), უმაგრდება; უ-ყეფ-ს — ყეფს ვისიმე ან რისამე წინაშე, ყეფით უტყვს, ჰყეფს... ეს თანაბრად ეხება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნასაც (ჯორბენაძე 1983, 165-172). აქედან კი ის დასკვნა კეთდება, რომ გრამატიკული (ამ შემთხვევაში: სიტყვაწარმოებითი) ერთგვაროვნება არ გულისხმობს სემანტიკურ ერთგვაროვნებას. ამა თუ იმ ფორმის „სემანტიკური რაობა კი თითოეულ შემთხვევაში ცალკე არის დასადგენი“ (ფოჩხუა 1974, 110-111).

წინამდებარე სტატიაში მედიაოპტიკურ ზმნათა საქცეო სისტემის ზოგიერთ გრამატიკულ და სემანტიკურ თავისებურებას შევხებით.

საშუალო გვარის ზმნათაგან ძველ ქართულში ქცევის თვალსაზრისით მედიაოპტიკური ტიპის საოპოზიციო წყვილები არცთუ ბევრი დასტურდება (დრტუნავს — უ-დრტუნავს, ზრუნავს — უ-ზრუნავს, მზირინ — უ-მზირინ, წამწამებნ — უ-წამწამებნ...) და სათანადო რიგის ფაქტები ჯერაც მოსაძიებელია. საერთოდ, მასალის მიხედვით, ძველიდან ახალი ქართულისაკენ, საშუალო გვარის ზმნებში საქცეო სისტემის ჩამოყალიბების ტენდენცია უფრო იკვეთება (სუხიშვილი 2005, 246-249).

ასეთ ზმნებს, მედიაოპტიკებისა და სტატიკური ვნებითებისაგან განსხვავებით, ქცევის მხოლოდ ორი ფორმა შეიძლება ჰქონდეს — ნეიტრალური (სა-არვისო) და საობიექტო (სასხვისო). ეს მედიაოპტიკური ფორმები საკმაო რაოდენობით გვხვდება როგორც საშუალო, ასევე — ახალ ქართულში. საობიექტო ქცევის ფორმათა ხმარება, ჩვეულებრივ, აწმყოს წრის მწკრივებით არის შემო-

ფარგლული:

„ტანი სიცივისაგან, ვითა ცხროანსა უთრთოდა“ (ვისრ. 271, 18)

„ოლონდ ცოტა ყელში სული უფეთქდა“ (რუსულ. 468, 29)

„ესმოდა რამინს სიტყვები და გული უძაგძაგებდა“ (არჩილი I, 202, 562. 1)

„სადაც სჭირს კაცსა სიკეთე, სამკვიდროდ ის უღელავსა“ (ვახტანგ VI, 23)

„რად არ გიცინიან პირი“ (გურამიშვილი 298, 1-3)...

საობიექტო ქცევის სემანტიკა დასახელებულ მედიალურ ზმნებში სუბიექტის ირიბი ობიექტისადმი კუთვნილებას გამოხატავს, თუმცა ყოველთვის არა. შდრ., „ყმა სახელ-დებით უყვივის“ („ვეფხ.“ 870,3), „რომელსა ყოველნი გიძრწიან და ყოველთა ხელმწიფე ხარ“ („რუსულ.“, 54,4)... კუთვნილებითობის სემანტიკა („აქვს“, „ჰყავს“) უჩანთ ახალ ქართულში მედიაოქტივთა სასხვისო ქცევის ფორმებში მარტივფუძიან, -ი, -ავ, -ებ თემისნიშნიან ზმნებს, — ერთგვარ გამონაკლისს ქმნიან -ობ სუფიქსიანი მედიაოქტივები. შდრ.:

მარტივფუძიანები: დულ-ს — უდულ-ს, წუხ-ს — უწუხ-ს, ფეთქ-ს — უფეთქ-ს...

-ი თემისნიშნიანები: ქრ-ის — უ-ქრ-ის, ჰყავ-ის — უ-ჰყავ-ის, ხტი-ის — უ-ხტი-ის...

-ავ თემისნიშნიანები: ბრწყინ-ავ-ს — უ-ბრწყინ-ავ-ს, ფრინ-ავ-ს — უ-ფრინ-ავ-ს, ღელ-ავ-ს — უ-ღელ-ავ-ს...

-ებ თემისნიშნიანები: ფანცქალ-ებ-ს — უ-ფანცქალ-ებ-ს, ცახცახ-ებ-ს — უ-ცახცახ-ებ-ს, ციმციმ-ებ-ს — უ-ციმციმ-ებ-ს და ა.შ.

მარკირებული წევრით გამოხატული კუთვნილება უფრო მქონებლობის შინაარსს გადმოგვცემს („აქვს“, „ჰყავს“) და საობიექტო ქცევის მედიაოქტივები, ისევე როგორც მედიაობასივები და სტატიკურები, სტრუქტურულად „ქონა-ყოლის“ ზმნებს უთანაბრდებიან, ე.ი. ინვერსიულები არიან.

ეს კუთვნილებითობა, სუბიექტის სათანადო რეფერენტების მიხედვით, რეალიზდება 1. როგორც ორგანული კუთვნილება ნაწილისა მთელის მიმართ: ტანი უთრთის, გული უძაგძაგებს, პირი უციინის... მას და მისთ. ენობრივი შემოქმედება ამ კუთხით უსაზღვროა, მაგ.: „მთელი სხეული უწკრიალედა“ (უიარაღო, II, 494)., „კარგი ეშმაკი ხარ, ფრთებიანი, ოლონდ კუდი გიყვირის“ (კობერიძე 160) და სხვ. 2. როგორც ჩვეულებრივი კუთვნილება: „რა ქნას მარტოკამ, უკვნესის მოხუცი დედამთილიცა“ (ერისთავი, I, 189), „ერთ პატარა ქვაბში... ბორშის ნარჩენი უთუხთუხებთ, ეს არის და ეს მთელი სასადილოს ავლადიდება“ („კომუნისტი“, 1984, №144 (17787), 1)... ერთი და იგივე ზმნა შეიძლება კუთვნილების ორივე ჯგუფში წარმოგვიდგეს: „კარგი ხასხასა მოლი გვიბიბინებდა ეზოებში“ (დოჩანაშვილი, „საქმე“, 178) — „აჯეჯილებული უღვაშებიც კოხტად უბიბინებდა“ (შენგელაია, I, 318)... თუმცა, რასაც

ზემოთ აღვნიშნავთ, ეს ყველა მედიაოქტივს არ ეხება. ზოგიერთი მედიაოქტიური ზმნა საოპოზიციო ქცევაში მხოლოდ სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მიმართებას აღნიშნავს და კუთვნილების სემანტიკას არ გამოხატავს.

მედიაოქტივთა ეს არაერთგვაროვანი სემანტიკა მათ გრამატიკულ სტატუსზეც აისახება. ქცევის საოპოზიციო ცალები მედიაოქტიურ ზმნათა ამ ნაწილში, ერთი შეხედვით, ერთმანეთს მხოლოდ პირიანობის (აბსოლუტური : რელატიური) მიხედვით უპირისპირდებიან; საოპოზიციო ცალებს უკეთდებათ II სერიის ფორმებიც:

ყევს — იყევა მან : უყევს — უყევა მან მას, ყვირის — იყვირა მან; უყვირის — უყვირა მან მას... სხვა საკითხია, II სერიის ფორმები სათანადო აქტივებიდან არის ნასესხები (შანიძე 1973, 304-375), თუ ისტორიულად მედიაოქტიურ ზმნათა სრული პარადიგმის ორგანული ფორმებია (ნოზაძე 1974, 25-51, მელიქიშვილი 2001, 85). ეს ორპირიანი მედიაოქტივები (უყევს, უყვირის...) თავიანთი ძირითადი მნიშვნელობით კუთვნილებადანიშნულების სემანტიკას არ გამოხატავენ, ან თვალსაჩინოდ არ გამოხატავენ:

უყევს-ს : ყევს ვისიმე ან რისამე წინაშე, — ყეფით უტევს, ჰყევს...

უყვირ-ის : ყვირის მის გასაგონად, ყვირილით ხმამაღლა უძახის...

უღიმ-ის : იღიმება მის დასანახავად, ღიმილით შესცქერის...

უცინ-ის : 1. იცინის მისთვის, მის დასანახავად, — შესცინის და სხვ. (ქეგლ, 1960, VI).

ეს განმარტებები ამოწმებენ, რომ დასახელებულ რელატიურ ფორმებში ზმნით გამოხატული მოქმედების განკუთვნიების, დანიშნულების სემანტიკა ერთგვარად მაინც დაჩნდება: უყვირის „ყვირის მის გასაგონად“, უღიმის „იღიმება მის დასანახავად“, უცინის „იცინის მისთვის, მის დასანახავად“... ამასთან ერთად, ასეთი ფორმები გარკვეულ კონტექსტებში კუთვნილების სემანტიკასაც მკაფიოდ აფიქსირებენ, მაგ., უცინის ფორმას კუთვნილების მნიშვნელობაც უდასტურდება და ეს მნიშვნელობა ქეგლშიაც არის ასახული: უცინ-ის... 2. იცინის, სიცილს გამოხატავს მისი (სახე, თვალები) [ლუარსაბს] სახე მუდამ უცინოდა ხოლმე (ილია), უღიმ-ის... 2. იღიმება მისი... მამაჩემი და დედაჩემი ყველას თავს უკრავენ, პირი უღიმიოთ (ეკ. გაბ.) ქეგლ VI, ანდა : „კარგი ეშმაკი ხარ, ფრთებიანი, ოღონდ კუდი გიყვირის (კობერიძე, 1989, 160).

მედიაოქტივთა საოპოზიციო ფორმებში კუთვნილებითობის სემანტიკის („აქვს“, „ჰყავს“) წამოწევისთან ერთად იცვლება სათანადო ზმნათა სინტაქსიც: უცინის ის მას > უცინის მას ის (სახე)... და ეს მნიშვნელობაცვლილი ფორმები უკვე იმ მედიაოქტივთა რიგში დგებიან, რომელთა საოპოზიციო ცალები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა მხოლოდ პირიანობით (აბსოლუტური : რელატიური), არამედ ქცევის გრამატიკული მნიშვნელობითაც (ნეიტალური : საოპოზიციო), გრამატიკული სუბიექტების აქტიურობის განსხვავებული ხარისხით (წუხს ის : უწუხს ის მას...), სემანტიკური გადაწევის (უწუხს მას ის)

შედგება რეალიზებული ინვერსიული სინტაქსით და უღვლილების პარადიგმათა: ერთპირიან, ნეიტრალური ქცევის ფორმებს უღვლილების სრული პარადიგმა აქვს (წუხს ის... — იწუხა მან... — უწუხია მას...), ორპირიანი საობიექტო ქცევის ფორმათა ხმარება კი, ჩვეულებრივ, აწმყოს წრის მწკრივებით არის შემოფარგლული (უწუხს, უწუხდა, უწუხდეს მას ის), II სერიის ფორმები მათ არ უკეთდებათ (მანიძე 1973, 342).

ამ ფაქტობრივი ვითარებიდან ამოსვლით, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული კრიტერიუმის მიხედვით, ალბათ განსხვავებულადაც შეიძლება გადაწყდეს ამ ჯგუფის მედიაოქტიური ზმნების საქცეო სისტემის საოპოზიციო ცალეების გრამატიკული სტატუსის საკითხი: ნეიტრალური ქცევის ფორმები (წუხს ის — იწუხა მან...) მედიაოქტივად დაკვალიფიცირდება, საობიექტო ქცევისა (უწუხს მას ის) — მედიაპასივებად ან სტატიკურებად: ქცევა სიტყვაწარმოებითი (წარმოქმნის) კატეგორიაა და უჩვეულო ასეთ გადაწყვეტაში არაფერი იქნება.

თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მედიაოქტიურ ზმნათა ერთი ნაწილი აქტიურთან ერთად მდგომარეობის სემანტიკასაც („არის“, და „აქვს“) გამოხატავს და არა მხოლოდ საობიექტო ქცევის ფორმებში:

ბლაგ-ის: „ჩემს კარზე ერთი ოთხფეხი პირუტყვი არა ბღავის“ (ქ. ს. ძეგ. VII, 748, 749)

ტრიალებ-ს: „ერთი წელიწადი შენთან ერთად ქართველ საზოგადოებაში ვტრიალებ“ (არაგვისპირელი, II, 67) და სხვ.

მედიაოქტიურ ზმნებში გამოხატული მდგომარეობის, მყოფობის მნიშვნელობა გარჩეულია ქეგლ-შიც სათანადო მედიაოქტივების განმარტებისას:

ელავ-ს... ელვა ანათებს, ელვა არის... (ქეგლ III)

ვალალებ-ს... ვალალ შია... (ქეგლ IV)

მოუსვენრობ-ს... მოუსვენრად არის... (ქეგლ V)

წუხ-ს... წუხილით არის შეპყრობილი (ქეგლ VIII).

ბუნებრივია, რომ საობიექტო ქცევის ფორმებში (თუკი ეს ფორმები ექნებათ) ასეთი სემანტიკის მედიაოქტივებს „აქვს“, „ჰყავს“ ზმნის მნიშვნელობები დაუდასტურდეთ: (უბღავის, უტრიალებს, უელავს, უწუხს... მას ის).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, პასიური ფორმები მედიაოქტიური ზმნების ისეთივე სრულფასოვანი მონაცვლეები არიან უღვლილების ფორმათა წარმოებისას, როგორც აქტიური ფორმები, შდრ.: ნებვიგრობ-ს (იყენ. ინებვიგრა, უნებვიგრია და განებვიგრდა, განებვიგრებულა) ქეგლ V. ამ ზმნის სალექსიკონო განმარტება — „ნებვიგრად არის, განებვიგრებულია, — განცხრომაშია“ მაინცდამაინც აქტიურ სემანტიკას არ უნდა გამოხატავდეს; შდრ., აგრეთვე, სხვა სინონიმური რიგის, მედიაოქტივთა განმარტებები: წუხ-ს — „წუხილით არის შეპყრობილი, — ნაღვლობს“..., ნაღვლობ-ს — „ნაღველი აქვს, დარდობს, წუხს“, დარდობ-ს — „დარდი აქვს, — ნაღვლობს, წუხს“ და ა.შ. ქეგლის მიხედვით, დასახელებულ

ზმნათაგან მხოლოდ ნებვირობს ფორმას აქვს II სერიაში პარალელური (ინებვირა | განებვირა) წარმოება, დანარჩენებს II სერიაში მხოლოდ მედიაოქტიური ტიპის პარადიგმა უდასტურდება: წუხ-ს — ი-წუხ-ა, ნაღვლობ-ს — ი-ნაღვლ-ა, დარდობ-ს — ი-დარდ-ა (ქეგლის I ტ. წამძღვარებულ არნ. ჩიქობავას „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ წუხს ზმნის II სერიის ფორმებად იწუხა და იწუხდა და სახელდება, ქეგლ I, 1950, 073). ამ ფორმათა სალექსიკონო განმარტებები კი მდგომარეობის სემანტიკას აფიქსირებს. მოცემულ კონტექსტში საყურადღებოდ გვეჩვენება შემდეგი დებულება: „სტატიკური შინაარსის მქონეა ყველა ის ზმნა, რომელიც შეიძლება აღწერიტად წარმოდგენილი იქნეს არის, აქვს ზმნათა კომბინაციით“ და „თუ ზმნა მდგომარეობას აღნიშნავს, ის სტატიკურად უნდა ჩაითვალოს, ფორმათა რა სიჭრელეც უნდა მოჰყვეს ამას გამოხატულების პლანში“ (გივინეიშვილი 1987, 90; 88).

უკვე აღვნიშნეთ, რომ ქცევის ფორმები „აქვს“, „ჰყავს“ სემანტიკით შეიძლება ეწარმოოს თითქმის ყველა სახის მედიაოქტიურ ზმნას. ერთგვარ გამოწაკლისს ქმნიან -ობ თემისნიშნიანი ზმნები. ჩვენს მიერ ზემოთჩამოთვლილი მედიაოქტივები (ნებვირობს, ნაღვლობს, დარდობს) ამ ფაქტს ადასტურებენ, ე. ი. საობიექტო ქცევის ფორმები არ უკეთდებათ. თუმცა ვერ ვიტყვიტ, რომ **-ობ** თემისნიშნიან მედიაოქტიურ ზმნებთან საობიექტო ფორმათა წარმოება საერთოდ გამოირიცხება. ა.შანიტე „გრამატიკის საფუძვლებში“ -**ობ** თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნის საობიექტო (სახვისო) ქცევის უბუდობს ფორმას ასახელებს და აღნიშნავს, რომ „ამ ქცევით ზოგჯერ აქაც აღინიშნება კუთვნილება არა მარტო სუბიექტისა, არამედ ისეთი ობიექტისაც, რომელიც წინადადებაში გარემოებად მიდის: ყოველსა კაცსა ასე ეგონა: პირსა იადონი უბუდობსო ან მერცხალი ჭიკჭიკებსო“ (ს. ორბ. „სიბრძნე-სიცრ.“). (პირს უბუდობს — მის პირში ბუდობს) (შანიტე, 1973, 342). ა. შანიტე ბუდობს ზმნას მედიაოქტივთა რიგში მოაქცევს (შანიტე, იქვე). ქეგლ-ის მიხედვით კი ბუდობს სტატიკური ზმნაა: 1. ბუდე აქვს... 2. არსებობს, დამკვიდრებულია (ქეგლ I).

საობიექტო ქცევის ფორმა უდასტურდება **-ობ** თემისნიშნიან სახლობს ზმნასაც:

„და მას აქეთ ყმად უსახლობს“ (ქ. ს. ძეგ. VI, 48, 106)

„...კოწახურას რომ უსახლობს, აჰყაროს“ (ქ. ს. ძეგ. VI, 36, 84)

„მეჭვრისხევს ზეით კაცი მისახლობს“ (ქ. ს. ძეგ. VII, 192, 191)...

ა. შანიტე სახლობს ზმნის შესახებ წერს: „უეჭველია, რომ „სახლობს“ მედიაოქტივი ზმნაა ამ გამოთქმაში: „ჩემი სახლიც სახლობს“, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობაც აქვს: სახლობს — დასახლებულია, სახლ-კარი აქვს, სახლია (თუ შეიძლება ასე ითქვას). უკანასკნელი მნიშვნელობით ზმნა მედიობასივია და წყვეტილში „ესახლა“-ს გვაძლევს“ (შანიტე 1973, 321-322).

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, სახლობს ზმნის მნიშვნელობა ლაბი-

ლურია, — ის შეიძლება მედიოაქტიურადაც წარმოგვიდგეს და მედიოპასიურადაც. მედიოპასიური ზმნა კი სტატიკურთა რიგშიც გადადის (შანიძე 1973, 321): სახლობს ზმნას II სერიაში სტატიკურთა მსგავსად ესახლა ფორმა შეენაცვლება, აწმყოს I და II პირის ფორმებში კი მეშველი ზმნაც შეიძლება დაერთოს:

„შიდ ვსახლობვართ“ (ქ. ს. ძეგ. VI, 125, 251)

„შენ რომ ადგილზე სახლობხარ“ (ქ. ს. ძეგ. VI, 214, 446).

„ცოცხალი ვინც არიან და სახლობან, ისინიც გარდასახადითა და უსამართლობით გააღარიბეთ“ (ქ. ს. ძეგ. VI, 222, 456).

**-ობ** თემისნიშნის საშუალი გვარის ზმნათაგან სასხვისო ქცევის ფორმა უდასტურდება ნათობს ზმნასაც, ნათ-ობ-ს — უ-ნათ-ობ-ს:

„მე თინათინით მინათობს სახლთ კედელ-ყურე, ჰერია“ (გურამიშვილი 113, 353-4).

საშუალი გვარის ზმნათა მედიოაქტიურად თუ მედიოპასიურად კვალი-ფიკაციის საკითხი, როგორც ცნობილია და აქაც ჩანს, ცალკეულ შემთხვევებში სადაოა. ეს არ ეხება მხოლოდ **-ობ** თემისნიშნის ზმნებს. მაგ., ბჟუტავს ფორმა ქეგლ-ში განმარტებულია როგორც სტატიკური ზმნა: ბჟუტავს-ს (იყენ. იბჟუტა, უბჟუტნია), „გრამატიკის საფუძვლებში“ კი ის მედიოაქტივად არის ჩათვლილი: „მედიოაქტივია აგრეთვე ბჟუტავს (ბჟუტავს — იბჟუტებს — იბჟუტა)“ (შანიძე 1973, 322).

ა.შანიძე აქვე სვამს ებჟუტა ფორმის გრამატიკული სტატუსის საკითხს („სინათლე გამოდიოდა, ჰრაქი ებჟუტათ. თ. რაზიკ. „გაზაფხ.“) — ცხადია, ის ისე უნდა გავიგოთ, როგორც სტატიკური ზმნა, რომლის აწმყოა „უბჟუტავს“ (უბჟუტავს — ებჟუტა) და თუ სტატიკურია რელატიური ზმნა „უბჟუტავს“, რაღა უნდა იყოს მისი აბსოლუტური ცალი „ბჟუტავს“? (შანიძე 1973, 322). ეს მართებული შეკითხვა პასუხსაც შეიცავს. ა. შანიძე ასახელებს **-ავ** (აკრავს, ჰხურავს), **-ობ** (სახლობს), **-ებ** (ჰმართებს), **-ამ** (ზმნისწინიანი „ჩასდგამს“) თემისნიშნის მედიოპასივებს, რომლებიც ფორმა-წარმოებით სტატიკურთა რიგში ექცევიან და ასკვნის: „ამგვარად იშლება ფორმალური ზღვარი მედიოპასივსა და სტატიკურებს შორისო“ (შანიძე 1973, 322).

ვფიქრობთ, რომ ამ დასკვნაში „მედიოპასივს“ „მედიოაქტივიც“ უნდა დამატებოდა, რადგანაც „ბჟუტავს“ „გრამატიკის საფუძვლებში“, როგორც ვნახეთ, მედიოაქტივადაა მიჩნეული. წარმოშობით აქტიურები არიან „ჩასდგამს“ და „ჰქვია“ ზმნებიც, რომლებიც ასევე სტატიკურ ზმნათა რიგშია განხილული (შანიძე 1973, 322).

სხვა ფაქტსაც დავუმატებდი, — განმარტებით ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად დამოწმებული სასხვისო ქცევის უ-ბრუნავს-ს ფორმა სტატიკურ ზმნად არის მიჩნეული; „...ბრუნავს მისი ან მისაში, — უტრიალებს...“; მოხმობილია სათანადო ილუსტრაციაც: [ესტატეს] ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი, ცოტაოდენი ნახნავი მიწა, ერთი თვალი წისქვილიც უბრუნავდა (ვაჟა)

ქეგლ VI. ქართულში უბრუნავს („აქვს“) უჩვეულო ფორმა არაა და ამ სემანტიკით ფორმაწარმოებაც სტატიკური ზმნისა აქვს (ნაკლულ მწკრივებს ენიანი ფორმებით ივსებს):

„ჩალაუბნის ხევზე ორი წისქვილი გვიბრუნავს“ (ქ. ს. ძეგ. VI, 167, 315);

„იმ ჩემს განაყოფებსაც უბრუნავს წისქვილი, შენც გიბრუნავს და მეც ჩემს ნარგებს მამულში ავაბრუნე წისქვილიო, ჩემს წილ მამულში რომ წისქვილი მებრუნოს, შენ წილს რად დაგიდებო?“ (ქ. ს. ძეგ. VI, 81, 169);

„იმ რუხედ ზაალსაც უბრუნავს წისქვილი“ (ქ. ს. ძეგ. VI, 81, 169);

„იმ მუკუზანს რომ საერთო წისქვილი ჰბრუნებიათ, იოანეს თავისი წილი თავის კაცისთვის მიუცია და იოსებს თავისი კაცისთვის“ (ქ. ს. ძეგ. VI, 21, 61).

„გაღმა ბებურისა და დავითის კაცებს ორი ბუჭულა ბრუნებია“ (ქ. ს. ძეგ. IV, 398, 494).

ა.შანიძის მსჯელობის კვალობაზე, რაკი რელატიური საობიექტო ქცევის უ-ბრუნავს-ს ფორმა სტატიკური შინაარსისაა („აქვს“), მაშინ მისი საოპოზიციო ბრუნავს ცალი სათანადო კონტექსტებში ასევე სტატიკური შინაარსით უნდა წარმოგვიდგეს. ქეგლში ბრუნავს-ს ზმნის მნიშვნელობა ასე განიმარტება: 1. მოძრაობს რისამე ირგვლივ; მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო, — ტრიალებს... 2. გადატ. მუდმივ მოძრაობაშია, იცვლება... (ქეგლ I); ვფიქრობთ, რომ გადატანითი მნიშვნელობა ბრუნავს ზმნისა, გარკვეული სახით მყოფობას („მოძრაობაშია“) გამოხატავს; ესაა ერთგვარად „დინამიკა სტატიკაში“ (სუხიშვილი, 1976, 10); შდრ.: „[წისქვილი] თუ ქველს რუხს ზევიდამ ბრუნავს [=რუხს ზევიდამ არის] ჩემიო და თუ ქვემოთ ბრუნავს [=თუ ქვემოთ არის] შენი იქნებაო, ეს გასინჯონ და ვისიაც მამულში ებრუნება [=იქნება], იმას დარჩება“ (ქ. ს. ძეგ. VI, 21, 61).

ბრუნავს ზმნის ფორმათა ტექსტში ჩართული ჩვენეული განმარტებები, ვფიქრობ, ობიექტური უნდა იყოს, აქვე დავიმოწმებ, რომ ნ. მარის მიხედვით ბრუნავს ტიპის ზმნები მდგომარეობას გამოხატავენ. ვბრუნავ ფორმის მნიშვნელობას კი ნ. მარი ასე თარგმნის: «Я есмь верчѣнный» (მარი 1925, 134).

ამ ზმნის სემანტიკური ლაბილურობა ენაში უღვლილების განსხვავებული (1. მედიაოქტიური, 2. სტატიკური) პარადიგმების თანაარსებობით რეალიზდება:

1. ბრუნავს-ს — ი-ბრუნა მან : „იქ ავთანდილ წისქვილს ვეღარ აბრუნებს, ბიჭიაშვილის წისქვილმა უნდა იბრუნოს“ (ქ. ს. ძეგ. IV, 319, 404).

2. ბრუნავს — ე-ბრუნება ის; უ-ბრუნავს, ებრუნა, ჰბრუნებია მას ის.

სემანტიკურადაა მოტივირებული ასევე კონწიალობს ზმნის ორგვარი პარადიგმა.

1. მედიაოქტიური: კონწიალობს — ი-კონწიალობს:

„[მის ტოტებზე] ბავშვები ეკიდებოდნენ და კონწიალობდნენ“

(ო. ჭილაძე, ქეგლის ახ. ფონდ.)

„იმ ყულფში ჩვენი თავები იკონწიალებს (თ. ბაძალუა, თარგმ. ქეგლის ახ. ფონდ.)

2. სტატიკური: კონწიალობ-ს — ე-კონწიალ-ა

„ჩანგლებზე ხობბები, როჭოები, კაკბები და დურაჯები კონწიალობ-დნენ (=„ჩამოკონწიალებული იყვნენ“) (შენგელაია, I, 313)

„საყელს დილზე პატარა თეთრი ჯვარი მორცხვად ეკონწიალა (უი-არალო, I, 195).

მედიაოქტიურ (აბსოლუტურ და რელატიურ) ზმნათა სემანტიკური არა-ერთგვაროვნება (მედიაოქტიურთან ერთად სტატიკური შინაარსის დაფიქსირება) ქართულში გამოიხატება სათანადო კონტექსტებით, შესაბამისად, უღვლილების განსხვავებული (სტაბილური ინვერსიული) პარადიგმით; ცალკეულ შემთხვევებში, ლაბილური (პირდაპირი და ინვერსიული) წყობითაც. ზოგჯერ ეს ლაბილურობა გამოვლინდება მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმებშიც (მედიაოქტიური ზმნა რიცხვში ეთანხმება როგორც მიცემითში, ასევე სახელობითში დასმულ სახელს):

მათ უკვნესით გული, მათ უკვნესოდათ გული. შდრ.: „ისინი ერთმანეთს უკვნესიან ამ განმარტობაში“ (ევდოშვილი, III, 298).

„ყველანი ერთმანეთს უკვნესოდნენ“ (ევდოშვილი, III, 298)...

ამდენად, ა. შანიძის დაკვირვება ქართულ ენაში მედიაოქტიურობასა და სტატიკურ ზმნებს შორის ფორმალური ზღვარის მოშლის შესახებ (შანიძე 1973, 322). გარკვეულწილად, როგორც ჩანს, მედიაოქტიურობაც ეხება. აქვე გავიხსენებდით, -ებ თემისნიშნისანი მედიაოქტიურობის საობიექტო ქცევისა და ამავე ფუძის გარდამავალი მოქმედებითი გვარის საობიექტო ქცევის ფორმათა იდენტურობას: უფანცქალებს მას გული: „დიდხანს შიშისგან პაწიებს გულები გვიფანცქალებდა“ (შ. მღვიმ., ქეგლ VI) და უფანცქალებს ის მას გულს: „რადაც ფართული იმედი გულს უფანცქალებს“ (ივერია, 1887, №137, 1) და მისთ.

მედიაოქტივთა გასტატიკურების ერთ-ერთ ფაქტად ახალ ქართულში რიგი მედიაოქტიური ზმნის აწმყოს I და II პირის ფორმებზე მეშველი ზმნის დართვაც სახელდება: „სტატიკურად ამყამად ფორმდება ისეთი ზმნებიც, რომლებიც გამოხატავენ აგენტურ აქტიურ პროცესს, რომელიც არ განარჩევს შინაგან ფაზებს: ვტირივარ, ვყვირივარ, ვმღერივარ და მისთ.“ (მაჭავარიანი 1981, 38).

სტატიკურად შეიძლება მოიქცეს სტატიკური ზმნის უღვლილების პარადიგმის შემავსებელი დინამიკური (ვნებითი) ცალიც. ატყვია — ეტყობა პარადიგმის დინამიკური ეტყობა წევრი „აწმყოშიც ხშირად გვხვდება სტატიკური შინაარსით (ჭუმბურიძე 1986, 122).

მოცემულ კონტექსტში, სტატიკურობის შემდგომი კვლევის თვალსაზრისით, კვლავაც აქტუალური ჩანს დებულება, რომელიც ამ სამოცი წლის წინ

გამოითქვა: „სტატიკური ზმნები გარდაუვალ ზმნათა ერთ-ერთი სახეობაა განვითარების გარკვეულ საფეხურზე (იგი მოიცავს შემდეგი ხანის საშუალოსაც და გარკვეული სახის ვნებთსაც)“ (ჩიქობავა 1948, 109). საკითხის შემდგომ კვლევასთან დაკავშირებით იხ., აგრეთვე, უთურგაიძე, მდგომარეობის ზმნები ქართულში, 2001.

### ლიტერატურა

**არაგვისპირელი II** — შიო არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, თბილისი, 1947.

**არჩილი I** — არჩილიანი, I, „საქართველოს ზნეობანი“, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937.

**გიგინეიშვილი 1987** — ბ. გიგინეიშვილი, ძველი ქართული ენის გრამატიკიდან., 3. სტატიკურობა-დინამიკურობის ზოგი სემანტიკური და მორფოლოგიური მახასიათებელი ძვ. ქართულში, „მრავალთავი“, XIV, თბილისი, 1987.

**გურამიშვილი** — დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ს. ცაიშვილმა, თბილისი, 1980.

**დოჩანაშვილი** — გურამ დოჩანაშვილი, „საქმე“, თბილისი, 1974.

**ევდოშვილი** — ირ. ევდოშვილი, თხზულებანი, ტ. 3, ტფილისი, 1937.

**ერისთავი I** — რაფიელ ერისთავი, ლექსები, ტ. 1, ტფილისი, 1935.

**ვახტანგ VI** — ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1975.

**ვეფხ.** — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გამოსცეს ა. შანიძემ და ალ. ბარამიძემ, თბილისი, 1968.

**ვისრ.** — ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და ლექსიკონი დაურთეს ალ გვახარიაშვილმა და მ. თოდუამ, თბილისი, 1962.

**კობერიძე** — კარლო კობერიძე, „მეწყერი“, თბილისი, 1974.

**მარი, 1925** — Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925

**მაჭავარიანი 1981** — მ. მაჭავარიანი, მოქმედების, პროცესისა და მდგომარეობის ცნებების განსაზღვრისათვის, თანამედროვე და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბილისი, 1981.

**მელიქიშვილი 2001** — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბილისი, 2001.

**ნოზაძე 1974** — ლ. ნოზაძე, მედიაოპტიკური ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე XIX, თბილისი, 1974.

**ონიანი 2003** — ალ. ონიანი, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბილისი, 2003.

**რუსუდ.** — რუსუდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რე-

დაქციით, თბილისი, 1957.

**სუხიშვილი 1976** — მ. სუხიშვილი, სტატკური ზმნები ქართულში, თბილისი, 1976.

**სუხიშვილი 2000** — მ. სუხიშვილი, ერგატიული წყობის გამოვლენისათვის ქართულში, იკე XXXIV, თბილისი, 2000.

**სუხიშვილი 2005** — მ. სუხიშვილი, „მყოფობა“: „მქონებლობის“ გამოხატვისათვის ძველი ქართულის საშუალო გვარის ზმნათა საქცეო სისტემებში, ქესს, IX, თბილისი, 2005.

**უთურგაიძე 2001** — თ. უთურგაიძე, მდგომარეობის ზმნები ქართულში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XII, თბილისი, 2001.

**უიარალო I, II** — უიარალო, კონდრატე თათარაშვილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, თბილისი, 1957.

**ფოჩხუა 1974** — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.

**ქეგლ** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

**ქ. ს. ქეგ. IV, VI, VII** — ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და კომეტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, IV — 1972, VI — 1976, VII — 1981.

**შანიძე 1973** — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, II გამოცემა, თბილისი, 1973.

**შენგელაია I** — დემნა შენგელაია, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. I, თბილისი, 1948.

**ჩიქობავა 1948** — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948.

**ჩიქობავა 1950** — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ I, თბილისი, 1950.

**ჭუმბურიძე 1986** — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი, 1986.

**ჯორბენაძე 1983** — ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი, 1983,

MURMAN SUKHISHVILI

## On Some Grammatical and Semantic Peculiarities of Medio-Active Verbs

### S u m m a r y

In Modern Georgian the system of the version (neutral : objective) of medio-active verbs contains several models that differ in conjugation and semantic. These models are as follows:

1. A small group of medio-active verbs (both the forms of neutral and objective versions) has the forms of the II series with a subject in the ergative case. The form of the objective version does not carry possessive meaning, it has medio-active semantic; the word order is normal:

**Neutral:** qep-s is *It barks* – i-qep-a **man** (Ergative) *It barked*.

**Objective:** u-qep-s mas *It barks at him/her/it* – u-qep-a **man** (Erg.) mas *It barked at him/her/it*.

2. Only neutral members of this group have the forms of the II series with a subject in the ergative case. Objective members lack the forms of the II series. They have possessive meaning (“to have”) and the inverse word order, similar to the static verbs expressing state:

**Neutral** (Medio-act.): cux-s is *He/She worries* – i-cux-a **man** (Erg.) *He/She worried*.

**Objective** (Static): u-cux-s mas is *He/She (his/her heart) is worried* – — .

3. In Modern Georgian there is a number of medio-active verbs that have two types of conjugation paradigms, both medio-active and static:

**Neutral:** (a) (Medio-active) brunaw-s is *It (a mill - stone, a wheel) turns* – i-brun-a **man** (Erg.) *It turned*. (b) (Static) brunaw-s is *It turns (= there is a mill)* – e-brun-a **is** (Nom.) *It turned (=there was a mill)*.

**Objective:** (Static) u-brunaw-s mas is *He/She has (a mill...)* – e-brun-a mas is *He/She had (a mill...)*.